


## თავი V. მაღისერნცირებული და მარტებრებული წრები

წრფივ წრების ფართოდ იყენებენ იმპულსური რადიოტექნიკური რეგების ფორმის გარდასაქმნელად.

განვიხილოთ  $RC$ -წრები (ნახ. 5.1), რომელიც აღიგზნება ემბის წყაროთ; გამოსასვლელ სიგნალს წარმოადგენს ძაბვა რეზისტორზე. მოცემული წრების დიფერენციალურ განტოლებას აქვს სახე



ნახ. 5.1

$$\tau \frac{du_R}{dt} + u_R = \tau \frac{du_{\text{вх}}}{dt}. \quad (1.58)$$

თუ დროის მუდმივა  $\tau$  იმდენად მცირეა, რომ დროის ნებისმიერ მომენტში


$$\tau \left| \frac{du_R}{dt} \right| \ll |u_R|, \quad (1.59)$$

მაშინ (1.58) განტოლების მარცხენა ნაწილის პირველი შესაკრები შეიძლება უგულებელებულ მეორესთან შედარებით

$$\text{და } u_R(t) \approx \tau \frac{du_{\text{вх}}}{dt}. \quad (1.60)$$

ასეთი  $RC$ -წრები ასრულებს სიგნალის **განახლებით დიფერენცირებას**. მადიფერენცირებელი წრების სქემოტექნიკური გამოყენება – ეს არის იმპულსური სიგნალების წამმახილებლების შექმნა.

სიგნალი შესასვლელზე



და სიგნალი დიფერენცირების წრების გამოსასვლელზე

ნახ. 5.2

განსახილვების სიგნალი არა მარტო წრების პარამეტრებზე, არამედ შესასვლელი სიგნალის მახასიათებლებზეც. შეფასებებისათვის აქ ყველაზე მარტივია ვისარგებლოთ ანალიზით სისშირულ არეში.


განსახილვების წრების გადაცემის სისშირული კოეფიციენტი  $K(j\omega) = j\omega/(1+j\omega)$  საკმაოდ ახლოს იქნება იდეალური დიფერენციატორის გადაცემის სისშირულ კოეფიციენტან:  $K(j\omega) \approx j\omega$ ,

თუ ნამრავლი  $\omega$  უგულებელსაყოფად მცირეა ერთოთან შედარებით სისშირულთა არეში, სადაც თავმოყრილია სიგნალის ენერგიის ძირითადი წილი.

მაგალითად, ვთქვათ შესასვლელი სიგნალია მართვულხა კიდეომბულსი  $\tau_0$  ხანგრძლივობით. ასეთი იმპულსის სპექტრში ზედა ზღვრული სიხშირის უხეში შეფასების გამოყენებით  $\omega_b = \frac{2\pi}{\tau_0}$  კლებულობთ პირობას, რომელიც უზრუნველყოფს  $RC$ -წრედის ვარგისობას მოცემული სიგნალის მიახლოებითი დიფერენცირებისათვის:

$$RC \ll \frac{\tau_0}{(2\pi)} \quad (1.61)$$

დიამეტრალურად საწინააღმდეგო თვისებები შეიძლება გააჩნდეს  $RC$ -წრედს (ნახ. 5.3), რომლის გამოსასვლელი სიგნალი, მოხსნილი კონდენსატორიდან, აკმაყოფილებს განტოლებას



ნახ. 5.3

$$u_C(t) \approx \frac{1}{\tau} \int_{-\infty}^{\infty} u_{ab}(\xi) d\xi. \quad (1.62)$$

ასეთი თვისებების მქონე  $RC$ -წრედს უწოდებენ მაინტეგრებელ წრედს. მიახლოებითი ინტეგრირება სრულდება მით უფრო ზუსტად, რაც უფრო მეტია შესასვლელი სიგნალის სპექტრში მარალის შირული მდგრებების ფარდობითი წილი. მართლაც, ვინაიდან აქ  $K(j\omega) = \frac{1}{1 + j\omega\tau}$  მიახლოებითი ტოლობა

$$K(j\omega) \approx \frac{1}{j\omega\tau}, \text{ რომელიც უზრუნველყოფს წრედის მაინტეგრებელ}$$

თვისებებს, სამართლიანი იქნება როცა  $\omega_{\text{ქ}}\tau \gg 1$ , სადაც  $\omega_{\text{ქ}} -$  სპექტრის ქვედა სასაზღვრო სიხშირეა.

მაინტეგრებელი წრედები საშუალებას გვაძლევენ ჩავახშოთ შესასვლელი სიგნალის მაღალსიხშირული მდგრებები და ამიტომ მათ ხშირად იყენებენ როგორც მაგლუგებელ ფილტრებს. გარდა ამისა, მათ უსუსლიათ გარდაქმნან შესასვლელი სიგნალის ხახტომისებური ცვლილებები გამოსასვლელზე წრფივად მზარდ იმპულსებად.